სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

ანგარიში

2016 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის გარდამავალი ნაშთი შეადგენდა 400143.37ლარს, მ.შ:

1. 339820.45 ლარი - ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის საფასური, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები და სხვა);
2. 32879.38 ლარი - რუსთაველი სამეცნიერო ფონდი;
3. 27443.54 ლარი - საერთაშორისო გრანტები (მ.შ.CASEDE – 5985,12 ლარი; SUTOMA - 2089.62 ლარი ; DOIT – 0.18 ლარი; LEGUE – 19368.62 ლარი).

სულ 2016 წლის შემოსავალმა შეადგინა 3432934.4 ლარი: მ.შ:

1. 2821473,11 ლარი - ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის საფასური, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები და სხვა);
2. 181578.9 ლარი - სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღბული პროგრამული დაფინანსება (მ.შ. 94192,73 ლარი - უნივერსიტეტის III-IV სასწავლო კორპუსის სახურავების რეაბილიტაცია; 60600 ლარი - სახელმწიფო სასწავლო სტიპენდიები; 3162 ლარი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განხორციელების მიზნით საჭირო ხელსაწყოების და აღჭურვილობის შესაძენად; 23624,20 ლარი - პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მიღებული დაფინანსება (პროექტის - ,,თელავის რაიონი ნიადაგების მიკრობიოლოგიური პრობლემების შესწავლა" - ლაბორატორიის აღჭურვისთვის);
3. 268487,04 ლარი - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და რუსთაველის სამეცნიერო ფონდიდან მიღებული გრანტები (მ.შ. 162735,32 ლარი - რუსთაველი სამეცნიერო ფონდიდან, ხოლო 105751,72 ლარი საერთაშორისო ორგანიზაციების გრანტები (SUTOMA,DARE, LEGUE);
4. 161395,32 ლარი შეადგინა კანონმდებლობით ნებადართულმა სხვა შემოსავლებმა, როგორებიცაა: იაჯრის ქირა - 448 ლარი; კაპიტალიზაცია - 3258,91 ლარი; არაკლასიფიცირებული შემოსავალი - 25591,39 ლარი; შემოსავალი ინტენსიური ლექციებისა და რეგისტრაციდან - 23472 ლარი; ოვერდრაფტი - 110000 ლარი).

   2016 წლის გადასახდელებმა შეადგინა 3347766,80 ლარი. მ.შ.

   - ,, შრომის ანაზღაურების მუხლით“ – 1754722.99 ლარი, შტათით მომშავეთა ხელფასი, ხოლო 25625 ლარის პრემია;

- ,,შტატგარეშე მომუშავეთა ანაზრაურება“ – 716791,61 ლარი (მ.შ საათობრივი ანაზღაურება - 302584 ლარი; ხელშეკრულების წესით - 404316,61 ლარი;)
- ,,მივლინებები“ – 11243,94 ლარი (მ.შ. ქვეყნის შიგნით - 9667 ლარი, ხოლო ქვეყნის გარეთ - 1576,94 ლარი);
- ოფისის ხარჯები“ – 177349,90 ლარი (კომუნალური გადასახადები: ბუნებრივი აირი, ელ. ენერგია, კანალიზაციის, დასუფთავების, მცირეფასიანი საოფისე ინვენტარი, სამეურნეო მასალები);
- ,,წარმომადგენლობითი ხარჯები“ – 17364,42 ლარი (სტუმრების მირება-გამასპინძლების და საჩუქრების ხარჯი);
- ,,სამედიცინო ხარჯები“ – 558,40 ლარი;
- ,,რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 1634,00 ლარი;
- ,,ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის არაკლასიფიცირებული ხარჯები“ – 22972,60 ლარი (საწვავი, საპოხი მასალები, შეკეთება, ავტონაწილები, ტრანსპორტის დაქირავება);
- ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ – 47436,70 ლარი (რეკლამის ხარჯი, კადრების გადამზადები ხარჯი, სამეცნიერო და სხვა მასალების ბეჭდვა, კონფერენციების და სესიების ხარჯი და სხვა);
- სოციალური უზრუნველყოფა:
    - სოციალური უზრუნველყოფა ფულადი ფორმით 721,86 ლარი (ბიულეტინი და სხვა):
- სხვა ხარჯების მუხლით 2016 წელს გახარჯულია 159477,30 ლარი. მ.შ:
- სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა 146092,30 ლრი:
    - სავადო გადასახდელები ბიუჯეტში (ქონებიდან,მოგებიდან,მიწის) – 71435,76 ლარი;
    - სტუდენტური თვითმმართველობის ხარჯი – 12338,70 ლარი (სპორტული და კულტურული ღონისძიებები, ჯილდოების და პრიზების ხარჯი; ექსკურსიის მოწყობის ხარჯები);
    - სახელმწიფო სასწავლო სტიპენტიები წარჩინებულ სტუდენტებს - 60600-00 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
    - საკომისიოები და პროცენტი 1717,81 ლარი;
    - სასამართლოებისა და სხვა კვაზისასამართლო ორგანოების გსადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებო ხარჯი - 300 ლარი;
    - სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი - 150 ლარი.
    - შენობის მიმდინარე რემონტი - 13385 ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 125165,10 ლარი. მ.შ:

- მეოთხე სასაწავლო კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია - 94193,10 ლარი, რომელიც დაფინენსებულია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ);
- სხვადასხვა ინვენტარი - 850 ლარი (წყლის პომპა).
- სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი - 26022,00 ლარი (კომპიუტერები, ტექნიკა, ლაბორატორიის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა, რომელიც შეძენილია როგორცს საკუთარი სახსრებიდან, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო გრანტებიდან და პრეზიდენტის ფონდიდან მიღებული დაფინანსებიდან).
- სხვა ძირითადი აქტივები - 4950,00 ლარი კომპიუტერული პროგრამა.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროფესიული პროგრამების ხელშეწყობის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2016 წელს, ჩუქების სახით გადმოგვეცა 33 ცალი კომპიუტერი (ღირებულებით - 33610,50 ლარი), რომლითაც გაიხსნა ახალი კომპიუტერული კლასები.

ამასთანავე 2015-2016 წელს უცხოეთიდან მიღებული გრანტების ფარგლებში ჩუქების სახით გადმოგვეცა 31938,50 ევროს რირებულების ტექნიკა და ინვენტარი. მ.შ:

1. 17563,50 ევროს ღირებულების ტექნიკური და ლაბორატორიული აღჭურვილობა პროექტის - DECERPH- „სამედიცინო და ფუნდამენტურ მეცნიერებებში ჰემატოლოგიისთვის სასწავლო პროგრამების დამუშავება და რეგიონალური პლატფორმის შექმნა (DECERP)“ The development of a curriculum and establishment of a regional training platform for haematology in medical and fundamental Sciences “ 544282-TEMPUS-1-2013-1-UK-TEMPUS-JPC - ფარგლებში (2015-2016 წელი);
2. 4375 ევროს ღირებულების ტექნიკა პროექტის - SUTOMA - ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო საერთაშორისო მოდულების განვითარება მდგრადი ტურიზმის მართვაში“ (SuToMa), „Development of new modules for international Bachelor and Master programs in sustainable tourism management “ N 53056 TEMPUS-1-2-12-DE-TEMPUS-JPCR) - ფარგლებში (2015-2016წელი);
3. 10 000 ევროს ღირებულების ტექნიკა პროექტის - LLL- „უწყვეტი განათლების სივრცის შექმნა სომხეთში, უკრაინასა და საქართველოში“(LeAGUe) " A Network for Developing Lifelong Learning in Armenia, Georgia and Ukraine ” 543839-TEMPUS-1-2013-1-SE-TEMPUS-SMHES - ფარგლებში (2016 წელი).

რაც შეეხება სამეცნიერო პროექტებს, 2016 წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით მიმდინარეობდა სამეცნიერო პროექტი - ,,თელავი - ისტორია და თანამედროვეობა (მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 საუკუნის პირველი ოცწლეული), რომლისთვისაც გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენდა 44000,00 ლარს. აღნიშნული თანხიდან 2016 წელს გახარჯულია 41661,30 ლარი. მ.შ:

- შრომის ანაზღაურება - 40732,33 ლარი;
- მივლინება ქვეყნის შიგნით - 929 ლარი;

აღნიშნული პროექტის დაფინასებიდან გაუხარჯავია 2338,70 ლარი, რომლის ნაწილიც შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს პროექტის პრეზენტაციის ხარჯებში.

2016 წელს რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების ხარჯმა შეადგინა 66391,30 ლარი. მ.შ.

1. 65491,28 ლარი - შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება;
2. 900 ლარი - საქონელი და მომსახურება;

2016 წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მიმართა სს ,,საქართველოს ბანკს" (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობების საფუძველზე) და დაამტკიცა საკრედიტო ხაზი (ოვერდრაფტის სახით) 110000,0 ლარის ფარგლებში, სახელფასო კრიზისის თავიდან ასაცილებლად.

2017 წლის 01 ინვრისათვის უნივერსიტეტის სახაზინო ანგარიშებზე ნაშთი შეადგენდა 485311,00 ლარს.

2016 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი ინტენსიურად საქმიანობდა ფინანსების მართვის, ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების განხორცილების მიმართულებით.

შეუფერხებლად ფინანსდებოდა სხვადასხვა საუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძებები, კერძოდ: საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან გაცვლით პროგრამებში, სპორტულ, კულტურულ-სანახაობრივ ღონისძებებში სტუდენტთა მონაწილეობა.

შეფერხების გარეშე ფინანსდებოდა სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები და სხვა.

უნივერსიტეტი ჩართული იყო სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, განხორციელების და ანგარიშგების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. წლის განმავლობაში სულ გამოცხადდა 9 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, დაიდო 259 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის შესახებ და დაიდო 5 ხელშეკრულება კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში.

უნივერსიტეტის აღიჭურვა ახალი კომპიუტერული ტექნიკით, ჩვენი სასაწყობე მეურნეობა უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მომარაგებას საჭირო მატერიალური ფასეულობებით, მასალებით, სამეურნეო, საკანცელარიო

ინვენტარით და ხდებოდა მათი განაწილება დადგენილი წესის მიხედვით. ხორციელდებოდა სისტემატური კონტროლი სასაწყობო მეურნეობაზე, მატერიალური ფასეულობების მარაგზე და ამოწურვის შემთხვევაში დროული რეაგირება.

მიმდინარეობს აქტიური მუშაობა უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის უფრო მაქსიმალური სიზუსტით დაგეგმვაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება წინა წლების გამოცდილება.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: მზია მაისურაძე